საქართველოს პარლამენტის

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის

2025 წლის სამოქმედო გეგმა

2025 წელი

I. კომიტეტის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

კომიტეტის სტრატეგიული ხედვა და სამოქმედო გეგმა ეფუძნება მისი ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს:

1. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება
2. საზედამხედველო საქმიანობა
3. საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია
4. ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის კოორდინირება

ამოცანა 1.1. სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება და მათ საფუძველზე, რეფორმების ინიცირება

პარლამენტის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი კონსტიტუციური ორგანოს სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კომიტეტის როლის გაძლიერება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში რეფორმების ინიცირებისა და მათზე მუშაობის პროცესში.

ამოცანა 1.2. კომიტეტისა და მისი წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების, ასევე შესაბამისი დარგის სიღრმისეული რეფორმირებისა და არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით.

ამოცანა 1.3. მთავრობის მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდების სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა

საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენებასთან ერთად, კომიტეტის საქმიანობაში განსაკუთრებული როლი დაეთმობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობას, მათ აქტიურ და დეტალურ განხილვას, რაც, საბოლოო ჯამში, მოემსახურება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი რეფორმების მხარდაჭერას.

ამოცანა 1.4: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში კომიტეტის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები

კომიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში კომიტეტის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები.

სტრატეგიული მიზანი 2: კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა კანონის აღსრულების, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და დარგობრივი მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით

ამოცანა 2.1. კანონმდებლობის აღსრულებისა და კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი

კომიტეტმა, მის წინაშე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად, უნდა განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა და აქტიურად გამოიყენოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი ინსტრუმენტები.

ამოცანა 2.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრული აქტივობათა შესრულების ზედამხედველობა

კომიტეტი მონიტორინგს გაუწევს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა პასუხისმგებელ უწყებათა მიერ შესრულებას, გასცემს რეკომენდაციებს შესასრულებელი სამუშაოების ეფექტიანად წარმოების მიზნით

ამოცანა 2.3. ეფექტიანი ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობა

კომიტეტი გააძლიერებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე მისი დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგს. ფინანსური ზედამხედველობის აქტივობები უნდა იყოს საზედამხედველო გეგმის ნაწილი, კომიტეტმა კი რეგულარულად მოითხოვოს სამინისტროსგან ინფორმაცია საბიუჯეტო საკითხებზე, ასევე გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში დანიშნოს შესაბამისი განხილვები და გასცეს საჭირო რეკომენდაციები, რაც მოემსახურება ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარებას დარგობრივი მიმართულებით.

ამოცანა 2.4: პრიორიტეტულ საკითხებზე საკომიტეტო საზედამხედველო ინსტრუმენტების (თემატური მოკვლევების, მოსმენებისა და სხვა) გამოყენება

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე კომიტეტი გამართავს სხდომებს, რომლის ფარგლებში მოისმენს ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციას და მოამზადებს შესაბამის დასკვნას.

სტრატეგიული მიზანი 3: კომიტეტის საქმიანობასა და დარგობრივი მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ, სამიზნე აუდიტორიის ინფორმირების მიზნით, კომუნიკაციის გაუმჯობესება

ამოცანა 3.1: კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების დაცვა

კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი და მარტივი წვდომისათვის, მისი ვებგვერდი რეგულარულად უნდა განახლდეს, ასევე დაინტერესებულ პირებს მიეცეთ საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კომიტეტის სოციალური არხების მეშვეობით უნდა ხდებოდეს, როგორც კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ისე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

ამავდროულად, კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს OGP-ის ფარგლებში შემუშავებული ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებები.

ამოცანა 3.2: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პროფესორებთან და მეცნიერებთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართვა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროექტებში

მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მეცნიერების, პროფესორებისა და სტუდენტების ჩართვა კომიტეტის სამუშაო პროცესში, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ექსპერტული მოსაზრებების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღებისას, მეორე მხრივ, კი დარგში არსებული სიახლეების შესახებ დიასპორის ინფორმირებას.

ამოცანა 3.3: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის გაძლიერება

კომიტეტი გააძლიერებს კოორდინაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. ამისთვის, კომიტეტი რეგულარულად გამართავს გასვლით სხდომებს მუნიციპალიტეტებში, ასევე, სამუშაო შეხვედრებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დარგობრივი პოლიტიკის სფეროში მოქმედ სხვა მხარეებთან.

ამოცანა 3.4: კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამიზნე ჯგუფებთან თანამშრომლობა

ღია მმართველობის პრინციპებიდან, ასევე პარლამენტის ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყველა სამიზნე აუდიტორიას მიეწოდოს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ამასთანავე ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება პარლამენტის როლისა და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სფეროებში მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ამოცანა 3.5: კომიტეტის მიერ განხორციელებული მასობრივი ღონისძიებები

საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ამასთანავე, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის იმ თარიღების აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროსთან, კომიტეტი მართავს მასობრივ ღონისძიებებს, რომელში ჩართვის შესაძლებლობა აქვს სამიზნე აუდიტორიას. ასევე, აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს შესაბამისი თარიღის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მასთან დაკავშირებული ჯგუფებისკენ ყურადღების მობილიზებას.

სტრატეგიული მიზანი 4: კომიტეტის შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება მისი მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის

ამოცანა 4.1. კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება

(მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება). ასევე, კომიტეტის წევრების მიერ ცალკეულ თემებზე პასუხისმგებლობის აღება და თემატური მომხსენებლის ინსტრუმენტის ეფექტიანი გამოყენება.
კომიტეტი გაზრდის ძალისხმევას აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგების უზრუნველსაყოფად, გამოცდილების გასაზიარებლად და სტაჟირებისათვის, აღნიშნული კომიტეტის საქმიანობის შედეგებს გააუმჯობესებს. ამასთან, დარგობრივ უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების მონაწილეობა შესაბამის შეხვედრებში, სემინარებსა და მსგავს ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროს მიმდინარე საკითხებზე.

II. კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა

მიმართულება I: პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება						
სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის წარმოება						
ამოცანა 1.1: სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება. შესაბამისად, კვლევების შედეგებსა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე დაფუძნებული რეფორმების ინიცირება						
N	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.1.1	საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის ინიცირება განათლებისა და მეცნიერების ერთიანი კონცეფციის დამტკიცების შესახებ	გივი მიქანაძე გიორგი ჩაკვეტაძე პაატა სალია ნინო წილოსანი გიორგი სოსიაშვილი ვლადიმერ კახაძე იმედა ნიკურაძე ვლადიმერ ბოჟაძე	დავით გიორგაძე ანატოლი კორეპანოვი ოთარ ბეჟიტაშვილი თეონა აბულაძე ნინო გოგნიაშვილი ქეთევან გოცირიძე ნინო გრიგალაშვილი მეგი ჯაფარიძე ელენე ვეკუა	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები; განათლების მიმართულებით მომუშავე დარგობრივი ორგანიზაციები.	აპრილი, 2025	**SDG 4** **SDG 16** **SDG 17**

1.1.2	უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შემუშავება	გივი მიქანაძე ვლადიმერ ბოჟაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი ნინო გოგნიაშვილი ნინო გრიგალაშვილი ელენე ვეკუა	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანათლებლ ო დაწესებულებები; განათლების მიმართულებით მომუშავე დარგობრივი ორგანიზაციები.	ნოემბერი, 2025	**SDG 3** **SDG 4** **SDG 10**

ამოცანა 1.2: კომიტეტისა და პარლამენტის წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება

N	აქტივობა	ინიციატივის შინაარსი	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
			თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.2.1	*ცვლილებები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროს მარეგულირებელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონში*	*აღნიშნული გულისხმობს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა საჭიროება სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისთვის არ არსებობდა და წარმოიშვა კომიტეტის საქმიანობის პროცესში.*	*ყველა წევრი*	*აპარატის ყველა თანამშრომელი*	*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო*	*2025 წლის განმავლობაში*	**SDG 4** **SDG 16** **SDG 17**

ამოცანა 1.3: მთავრობის მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა

N	აქტივობა	ინიციატივის შინაარსი	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
			თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.3.1	„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დიპლომთან ერთად გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი); გაჩნდება საკანონმდებლო საფუძველი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების წესის, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების წესის შემუშავებისთვის; პირი ვალდებული აღარ იქნება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, იმ შეთხვევაში თუ მისი ზოგადი	იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	*2025 წლის განმავლობაში*	

		განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა დასტურდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში; განისაზღვრება, რომ ის პირები, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს ექსტერნატის წესით დაძლევენ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის IX კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს და მათი ასაკი შეესაბამება ან აღემატება 2024-2025 სასწავლო წელს X კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიას, 2024-2025 სასწავლო წლიდან სწავლას გააგრძელებენ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შესაბამის კლასში; დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა განხორციელდება არჩეული დირექტორის ან მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან; შეიცვლება მასწავლებლის განათლებისადმი დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ: იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით მიეცემათ					

		მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა; იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით, მიეცემათ სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა; რესურსცენტრის უფროსს/უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს და მის მოადგილეს მიეცემა უფლება, განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საჯარო სკოლებში. ასევე, რესურსცენტრის უფროსს/უფროსის ფუნქციათა შემსრულებელს და მის მოადგილეს მიეცემა შეთავსებადი ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება სამინისტროს სისტემაში.					
1.3.2	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	ტერმინი ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება” ჩამოყალიბდება ახლებური რედაქციით, რითაც ხაზგასმით გამოიკვეთება უნივერსიტეტების სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობა. შესაბამისი ცვლილება აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ნაწილში;	გიორგი სოსიაშვილი	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი ნინო გოგნიაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	*2025 წლის განმავლობაში*	

		საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში სწავლა დასაშვები იქნება მაღალი მიღწევების სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე სპორტსმენებისათვის.					
1.3.3	„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საავტორიზაციო და საკრედიტაციო განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულება, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, ჩაითვლება ავტორიზებულად ან საგანმანათლებლო პროგრამა - აკრედიტებულად, მიუხედავად ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადის ამოწურვის შემთხვევისა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადის გახანგრძლივების წესი და პირობები დამატებით დადგენილი იქნება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით.	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	*2025 წლის განმავლობაში*	
1.3.4	*ცვლილებები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროს მარეგულირებელ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კანონში*	*აღნიშნული გულისხმობს იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა საჭიროება სამოქმედო გეგმის შემუშავების დროისთვის არ არსებობდა და წარმოიშვა კომიტეტის საქმიანობის პროცესში.*	*ყველა წევრი*	*აპარატის ყველა თანამშრომელი*	*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო*	*2025 წლის განმავლობაში*	**SDG 4** **SDG 16** **SDG 17**

ამოცანა 1.4: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში კომიტეტის წინაშე განსახილველად წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები							
N	აქტივობა	ინიციატივის შინაარსი	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
1.4.1	*განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები*	*აღნიშნული გულისხმობს იმ პეტიციებსა და საკანონმდებლო წინადადებებს, რომელიც სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდისთვის კომიტეტისთვის წარდგენილი არ ყოფილა.*	*ყველა წევრი*	*აპარატის ყველა თანამშრომელი*	*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო*	*2025 წლის განმავლობაში*	

მიმართულება II: საზედამხედველო საქმიანობა						
სტრატეგიული მიზანი 2: კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა ნორმატიული აქტის აღსრულების, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და დარგობრივი მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით						
ამოცანა 2.1: ნორმატიული აქტების აღსრულებისა და კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი						
N	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
2.1.1	„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება/დამტკიცების კონტროლი	პაატა სალია	თეონა აბულაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; პროფესიული უნარების სააგენტო.	ყოველთვიურად	SDG 4
2.1.2	სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი	გივი მიქანაძე	ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.	რეგულარულად	SDG 4
2.1.3	„განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფოს შესაბამის სამინისტროს	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	რეგულარულად	

	შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა, მათ შორის, სხვა სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამის კომიტეტთან თანამშრომლობით“					
2.1.4	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტების მიღებისა და შესრულების კონტროლი	იმედა ნიკურაძე	ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.	რეგულარულად	**SDG 4**
2.1.5	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტების მიღებისა და შესრულების კონტროლი	ვლადიმერ ბოჟაძე	ოთარ ბეჟიტაშვილი მეგი ჯაფარიძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ადგილობრივი თვითმმართველობები.	რეგულარულად	**SDG 4**
2.1.6	COVID 19 პანდემიის ზოგად განათლებაზე გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები	რეგულარულად	**SDG 4**
2.1.7	ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში სასკოლო საგანმანათლებლო	იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების,	რეგულარულად	**SDG 4**

	რესურსების გამოყენების პრაქტიკის შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი			მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;		
2.1.8	ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გივი მიქანაძე პაატა სალია გიორგი სოსიაშვილი იმედა ნიკურაძე ვლადიმერ ბოჟაძე	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე ნინო გოგნიაშვილი მეგი ჯაფარიძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს კულტურის სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 10**
2.1.9	თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით, ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური	პაატა სალია	თეონა აბულაძე	საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი;	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 8**

	მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი			საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.		
2.1.10	საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებული გამოწვევების განსაზღვრისა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავების მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი სოსიაშვილი	ნინო გოგნიაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.	რეგულარულად	**SDG 4**

2.1.11	მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე სოციო-ემოციური მდგომარეობის გავლენისა და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 3** **SDG 4**
2.1.12	პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და დაფინანსების მოდელის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	პაატა სალია	თეონა აბულაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; პროფესიული უნარების სააგენტო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 8** **SDG 16**
2.1.13	ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდებაზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენის შეფასების მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	ვლადიმერ ბოჟაძე	მეგი ჯაფარიძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.	რეგულარულად	**SDG 4**
2.1.14	საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკის შესწავლისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	ვლადიმერ კახაძე	თეონა აბულაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 3** **SDG 6**

				საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთან, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.		
2.1.15	ბავშვებისა და ახალგაზრდების აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენციისა და გამოჯანმრთელების პოლიტიკის შესახებ ჩატარებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ჩაკვეტაძე	ანატოლი კორეპანოვი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთან, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეები.		**SDG 3** **SDG 16**
2.1.16	სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში, თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე ნინო გრიგალაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 16**
2.1.17	საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების (მათ შორის, სახელოვნებო განათლების მიმართულებით) და ანსამბლების საქმიანობის	გივი მიქანაძე	ანატოლი კორეპანოვი	განათლების, მეცნიერებისა და	რეგულარულად	

	გაძლიერების შესახებ თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი		ელენე ვეკუა	ახალგაზრდობის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; კულტურის სამინისტრო.		
2.1.18	ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის შესახებ განხორციელებული თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	გიორგი ჩაკვეტაძე	ანატოლი კორეპანოვი ელენე ვეკუა	ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.	რეგულარულად	**SDG 4** **SDG 8**
2.1.19	პირველკლასელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის კუთხით რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი	გივი მიქანაძე იმედა ნიკურაძე	დავით გიორგაძე მეგი ჯაფარიძე ელენე ვეკუა	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობები.	რეგულარულად	**SDG 4**
2.1.20	2020-2030 წლებისთვის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის შესრულების მონიტორინგი	გიორგი ჩაკვეტაძე	ანატოლი კორეპანოვი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო.	რეგულარულად	**SDG 16**
ამოცანა 2.2: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების ზედამხედველობა						
N	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	

		თემატური მომხსენებელი	**აპარატის თანამშრომელი**			**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
2.2.1	აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისაგან ინფორმაციის რეგულარულად გამოთხოვა, ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.	რეგულარულად	**SDG 16** ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
2.2.2	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით განხორციელებული სამუშაოს ანგარიში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სფეროში	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.	რეგულარულად	**SDG 16** ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
2.2.3	საქმიანობის განხორციელება ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების მიზნით	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და	რეგულარულად	**SDG 16**

				ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.		ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
ამოცანა 2.3: ეფექტიანი ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობა						
N	**აქტივობა**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		თემატური მომხსენებელი	**აპარატის თანამშრომელი**			
2.3.1	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი ქეთევან გოცირიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.	ივნისი, 2025	**SDG 16**
2.3.2	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშები	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და	კვარტალში ერთხელ	**SDG 16**

			ქეთევან გოცირიძე	ახალგაზრდობის სამინისტრო.		
2.3.3	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით მომზადებული ანგარიშების განხილვა	გივი მიქანაძე გიორგი ჩაკვეტაძე პაატა სალია ნინო წილოსანი გიორგი სოსიაშვილი ვლადიმერ კახაძე იმედა ნიკურაძე ვლადიმერ ბოჟაძე	დავით გიორგაძე ოთარ ბეჟიტაშვილი ანატოლი კორეპანოვი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.	რეგულარულად	**SDG 16**

ამოცანა 2.4: პრიორიტეტულ საკითხებზე საკომიტეტო საზედამხედველო ინსტრუმენტების (თემატური მოკვლევების, მოსმენებისა და სხვა) გამოყენება

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
2.4.1	სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	გიორგი ჩაკვეტაძე	ანატოლი კორეპანოვი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ახალგაზრდობის სააგენტო.	თებერვალი, 2025	**SDG 16**
2.4.2	მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ანგარიშის მოსმენა	ვლადიმერ კახაძე	დავით გიორგაძე ნინო გრიგალაშვილი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	მარტი-სექტემბერი, 2025	**SDG 16** **SDG 17**

				საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი; საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია.		
2.4.3	პროფესიული განათლების მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	პაატა სალია	თეონა აბულაძე	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; პროფესიული უნარების სააგენტო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.	აპრილი-ივნისი,2025	**SDG 4** **SDG 8** **SDG 16**
2.4.4	სკოლამდელი და ზოგადი განათლების მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ვლადიმერ ბოჟაძე	დავით გიორგაძე მეგი ჯაფარიძე	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;	მაისი-სექტემბერი, 2025	**SDG 4** **SDG 16**

				მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.		
2.4.5	უმაღლესი განათლების მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	გიორგი სოსიაშვილი	ნინო გოგნიაშვილი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.	მარტი-ნოემბერი, 2025	**SDG 4** **SDG 16**
2.4.6	ინკლუზიური განათლების მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური; ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.	ივნისი-ნოემბერი, 2025	**SDG 4** **SDG 10** **SDG 16**

2.4.7	განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	გივი მიქანაძე გიორგი სოსიაშვილი პაატა სალია ვლადიმერ კახაძე	ნინო გოგნიაშვილი თეონა აბულაძე ნინო გრიგალაშვილი	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; განათლების საერთაშორისო ცენტრი; ჰორიზონტი ევროპის ეროვნული ოფისი; აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა.	ივნისი-ნოემბერი,2025	**SDG 4** **SDG 16**
2.4.8	დიასპორის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლების მხარდაჭერის მიმართულებით 2024 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშისა და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	გივი მიქანაძე	ანატოლი კორეპანოვი ელენე ვეკუა	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი.	მაისი, 2025	**SDG 16**

მიმართულება III: საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია						
სტრატეგიული მიზანი 3: კომიტეტის საქმიანობასა და დარგობრივი მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ, სამიზნე აუდიტორიის ინფორმირების მიზნით, კომუნიკაციის გაუმჯობესება						
ამოცანა 3.1: კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების დაცვა						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.1.1	კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი კანონების გამარტივებული ენითა და ვიზუალიზაციით გადმოცემა (საკანონმდებლო დაიჯესტი)	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე ქეთევან გოცირიძე	პარლამენტის ღია მმართველობის საბჭო; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	SDG 16
3.1.2	მოქალაქეებისთვის საინტერესო/საჭირო საკითხებზე, საკონსულტაციო შეხვედრების წარმართვა კომიტეტის წევრთა და კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ჩართულობით	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	SDG 16
3.1.3	ვიზიტები სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	SDG 16

3.1.4	დაინტერესებული პირებისთვის (საგანმანათლებლო დაწესებულებები, დარგობრივი, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები) კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდება სოციალური არხებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 16**
3.1.5	მედიასთან, განსაკუთრებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე ორიენტირებულ საშუალებებთან, ინტენსიური კომუნიკაცია	ყველა წევრი	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16**

ამოცანა 3.2: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პროფესორებთან და მეცნიერებთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართვა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროექტებში

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.2.1	საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან და სტუდენტებთან კომუნიკაცია, მათი საჭიროებებისა და ინიციატივების გაცნობის მიზნით	გივი მიქანაძე გიორგი სოსიაშვილი	დავით გიორგაძე ნინო გოგნიაშვილი ნინო გრიგალაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;	რეგულარულად	**SDG 16**

				საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი.		
ამოცანა 3.3: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის გაძლიერება						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**			
3.3.1	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა კახეთის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	თებერვალი, 2025	**SDG 16**
3.3.2	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	მარტი, 2025	**SDG 16**
3.3.3	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	აპრილი, 2025	**SDG 16**
3.3.4	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	მაისი,2025	**SDG 16**

3.3.5	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	ივნისი, 2025	**SDG 16**
3.3.6	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	სექტემბერი, 2025	**SDG 16**
3.3.7	კომიტეტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში	ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;	ნოემბერი, 2025	**SDG 16**

ამოცანა 3.4: კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სამიზნე აუდიტორიასთან თანამშრომლობა

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
3.4.1	პარლამენტში ვიზიტით მყოფი სამიზნე აუდიტორიისთვის კომიტეტის შესახებ საინფორმაციო ბროშურის დამზადება და მიწოდება	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი; პარლამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტი.	რეგულარულად	**SDG 16**

3.4.2	პარლამენტის საქმიანობის პოპულარიზაცია მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის - შეხვედრები, როგორც პარლამენტში, ასევე გასვლით ფორმატში	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.	რეგულარულად	**SDG 16**
3.4.3	კომიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების (სხდომები, შეხვედრები, ღონისძიებები და ა.შ.) შესახებ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება	ყველა წევრი	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;	რეგულარულად	**SDG 16**

ამოცანა 3.5: კომიტეტის მიერ განხორციელებული მასობრივი ღონისძიებები						
N	**ღონისძიება**	**პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე**	**ვადა**	**შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**			
3.5.1	„პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ ფარგლებში საქართველოს პარლამენტის მიერ დაწესებულ სპეციალურ კატეგორიაში: „წლის საუკეთესო ინკლუზიური პრაქტიკა პროფესიულ განათლებაში” გამარჯვებულის დაჯილდოება.	გივი მიქანაძე პაატა სალია	დავით გიორგაძე თეონა აბულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო; პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.	ივლისი, 2024	**SDG 16**
3.5.2	ახალგაზრდული ფორუმის ორგანიზების ხელშეწყობა	გიორგი ჩაკვეტაძე	თეონა აბულაძე ანატოლი კორეპანოვი	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.	აგვისტო, 2024	**SDG 16**

მიმართულება IV: კომიტეტის ორგანიზაციული განვითარება						
სტრატეგიული მიზანი 4: კომიტეტის შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება მისი მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის						
ამოცანა 4.1: კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი			
4.1.1	აპარატის თანამშრომლების საჭიროების განსაზღვრა	გივი მიქანაძე	დავით გიორგაძე		რეგულარულად	SDG 16
4.1.2	პარლამენტის სასწავლო ცენტრთან და გარე ორგანიზაციებთან კოორდინირებით აპარატის თანამშრომელთა გადამზადება	გივი მიქანაძე	აპარატის ყველა თანამშრომელი	პარლამენტის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი	რეგულარულად	SDG 16